№ 15
პარასკევი, 21 იანვარი 1894

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10— | 6 . . . | 6 |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 7 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 5 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

1877—1894

# ივერია

№ 15
პარასკევი, 21 იანვარი 1894

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
**გაზეთის დასაბარებლად:**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას—სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.
**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი 8 კაპეიკი.

**„ი ვ ე რ ი ა“**
გამოვა 1894 წელსაც
**იმავე პროგრამით, როგორც წინად.**

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:
ტფილის,
**„ივერიის“ რედაქციას**
ნიკოლოზის ქუჩა 21.
და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრ. საზოგადოების კანცელარიას, სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.
საფოსტო ადრესი:
**ТИФЛИСЪ.** Редакція „ИВЕРІЯ“.

ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თ. ს. გ. წერეთელი პატივის-ცემით აუწყებს ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობას, რომ 1876 წ. გამოც. მე-IX ტ. მე-81 მუხ. კანონთა კრებულის თანახმად, 10 მაისს ამა 1894 წელსა დაიწყება ჩვეულებრივი საგუბერნიო რჩევის კრება. (3—2)

## ტფილისი, 21 იანვარს

„ივერიაში“ დაბეჭდილი წერილი სტუდენტის ნიკო თავდგირიძისა ერთხელ კიდევ მოაგონებს ძველ სტუდენტებს, რომელთაც უნივერსიტეტის კასსის ვალი გამოჰყოლიათ, რომ ეს ვალი გადაიხადონ და მარადის გაჭირვებაში მყოფს ქართველ სტუდენტობას ცოტად არის მაინც ამით შემწეობა გაუწიონ.

თავადი თავდგირიძე, რასაკვირველია, არა თხოულობს ვალის გადახდას იმათგან, რომელთაც ღონე არა აქვთ; მაგრამ იგი, დიაღ, სამართლიანად დრტვინავს იმათ შესახებ, რომელთაც სულ ადვილად შეუძლიანთ მოიხადონ ეს მცირე საამხანაგო მოვალეობა.

თუმცა ამ საგანზედ საკმაოდ ითქვა ამ უკანასკნელ დროს, მაგრამ მაინც საჭიროდ მიმაჩნია დავუბრუნდე და ვკითხო თავად თავდგირიძესთან ერთად: რა მიზეზია, რომ ის პატიოსანი კაცნი, რომელთაც ცხოვრების საშუალება მოუპოვებიათ, არა ჰსურთ რამდენიმე თუმანი სტუდენტების ვალი გადაიხადონ!?

ამ შემთხვევაში არა მგონია ვინმემ სიღარიბე მოიყვანოს საბუთად, რადგანაც ათისა და ოცის მანეთის გადახდას დიდი დაფაცურება და სიმდიდრე არ უნდა, საჭიროა მხოლოდ სურვილი და გახსენება.

ძალიან მიჭირს იმისი წარმოდგენა, რომ ვისმეს სტუდენტების რამდენიმე გროშის მითვისების განზრახვა ჰქონდეს; არა თუ უმაღლესს სასწავლებელში ნამყოფი კაცი, რომელსაც ბევრის გაგება და ცოდნა მოეთხოვება, არამედ ყოველი სხვაც-კი არ იფიქრებს ასეთის საქმის ჩადენას.

მაგრამ, როგორც ზევითა ვსთქვი, აქაც ისე როგორც სხვა საქმეში, იგივე დაუდევრობა სდევს და აბრკოლებს ქართველს კაცს. იქნება ეს თვისება ჩვენი ეროვნული ნაკლულევანება იყოს, მაგრამ ამ დროს, როდესაც ყოველივე წამით-წამზედ საანგარიშო და საფიქრებელია,—ამ თვისების შერჩენა ხომ მომაკვდინებელ ცოდვად უნდა ჩაითვალოს!

ერთს ადგილს თავის წერილში თავადი თავდგირიძე ამბობს: „რაკი მეტი ღონე არა გაგვივიდა-რა, ქემაინც გამოვაცხადებთ იმ ვაჟბატონებთა გვარს, რომელთაც არა სურთ მოიხადონ თავის ზნეობრივი მოვალეობა“.

ეს საშუალება, იქნება, უებარი საშუალებაც იყოს, მაგრამ სანამდის სტუდენტები ამ უკანასკნელ ღონეს მიჰმართავდნენ, კარგს ინებებენ, რომ ჯერ რამდენსამე თვეს დაუნიშნავდნენ თავის მოვალეებს, და თუ მოვალენი ამ ვადაზედაც არ გაუსწორდნენ კასსას, მაშინ რაღა გაეწყობა გამოაცხადონ საამხანაგო ვალის გადახდის უარის-მყოფელთა სია.

თუმცა ეს ფრიად სამწუხარო იქნება და დაამტკიცებს, რომ გრძნობა ურთიერთობისა ძველ სტუდენტებს გვარიანად შეჰლახვიათ, მაგრამ თუ სხვა არა გასჭრის-რა, რაღა გაეწყობა! თუ იწყენს ვინმე, მიზეზი თითონვე იქნება და სამდურავის გამოცხადების უფლებაც-კი აღარ ექმნება.

W.

## ახალი ამბავი

*** ოდესელ ქართველებისაგან განსვენებულ ალ. ყაზბეგის გვირგვინისათვის მოგვივიდა 25 მანეთი.

*** ოთხშაბათს, 19 იანვარს, ქართულმა დრამატიულმა დასმა ბ-ნ დ. მ. აწყურელის საბენეფისოდ წარმოადგინა ხუთ-მოქმედებიანი დრამა გულისაშვილისა „დრონი მეფობენ“. ეს დრამა წარმოადგინეს მეორედ შარშან იმის შესახებ შენიშვნაცა გვქონდა დაბეჭდილი და ამიტომ ეხლა აღარას ვიტყვით. ვეცდებით ოდესმე ცალკე გავარჩიოთ. პიესამ მოთამაშეთა მხრივ საუცხოვოდ ჩაიარა. განსაკუთრებით კარგები იყვნენ ქ-ნი ჩერქეზიშვილისა, მაქსიმიძისა და თვით მებენეფისე. დივერტისმენტში ბ-ნმა ტყვიაველმა დიდის გრძნობით, და საუცხოვოდ წაიკითხა რამდენიმე ლექსი და ბ-ნმა აწყურელმა კინტოურის ტანისამოსით სთქვა კინტოური სცენები ,,რად მიყვარხარ‘‘, ,,რა მასმევს ღვინოს‘‘ და სხვ. დასასრულ ზურნაზედ მშვენივრად იცეკვა ბალდადური. წარმოდგენას საზოგადოება საკმაოდ დაესწრო. მებენეფისეს მისმა პატივის-მცემლებმა მიართვეს ვერცხლის სათუთუნე და საწუმწუმე, პაწია ოქროს გული და ფული პაკეტით.

რაც შეეხება წარსულს ოთხშაბათს წარმოდგენილს პიესას „ხაფანგს‘‘, იმის შესახებ ჩვენს აზრს დავბეჭდავთ ამ დღეებში.

*** მთავარ-მართებლის კანცელარიას ამას წინად პეტერბურგში გაუგზავნია, სადაც იმყოფება დროებით გენ.-ად. ს. ა. შერემეტიევი, ყოველივე საქმის წარმოება და განაჩენი სამხედრო ოლქის სასამართლოში ქიქოძეს შესახებ დასამტკიცებლად.

*** გაზ. „Нов. Обоз“-ე ამბობს, რომ დაახლოვებით აპრილის თვეში შეუდგებიან ფოთსა-და-ბათუმში საქალაქო არჩევანებსაო. 1892 წლის საქალაქო დებულება ამ ორსავე ქალაქში სავსებით იქნება შემოღებული.

*** დ. ხონი: წყალი გამოვიყვანეთ, არხები გავჭერით და ახლა ეს საქმე სადავიდარაბოდ გაგვიხდა. დაბა ხონში და აგრეთვე მის ახლომახლო სოფლებში ამ არხების საქმეღაა ამ ჟამად სალაპარაკო. ახლა არჩევანები დაიწყო მირაბისა და ვნახოთ, როგორ ჩაივლის ეს საქმე.

*** სოფ. მუსხი. (ახალციხის მაზრა) სწორედ ახალ წლის ღამეს ასტყდა საყდრის ზარის რეკა. ჯერ ვერ მივხვდით მიზეზს ასრე უდროვოდ ზარის რეკვისა, გამოვიღვიძეთ გამოვედით გარედ და საშინელი სურათი წარმოგვიდგა თვალ-წინ: იწვოდა შუა სოფელში გლეხის ისაკო ჯინჭველაძის სახლი, რომელშიაც ჰქონდა დაბინავებული მთელის წლის მოსავალი: პური, ფქვილი, ერბო, ყველი, სახლის ავეჯეულობა და სხ. თვითონ ისაკო ჯინჭველაძე-კი თავის ცოლ-შვილით სცხოვრობდა ამ სახლიდგან მოშორებით, ახლად აშენებულს სადგომ სახლებში. ცეცხლის წაკიდების მიზეზი, როგორც ამბობენ, ყოფილა ნახშირი, რომელიც ფურნიდგან გამოეყარათ და იქვე გოდორში, ბოძთან ახლო, ჩაეყარათ. თურმე ნახშირში გაუქრობელი ნახშირიც ჩაჰრეოდა და ცეცხლი ნელნელა მოსდებია სახლს, შიგნიდგან. შეგროვილმა ხალხმა ძლივსღა გადავარჩინეთ სახლის უმთავრესი ძელი (გასაყარი), ისიც ნახევრად დამწვარი. დაეწვა და დაებუგა საწყალს გლეხს მთელი წლის სარ[...]ც საბადებელი!.. გამომცხვარი [...] არ დარჩა, რომ ბედნიერი [...]ე გაეძომხდარითენებინა. როგორ-ღაც [...]ორბალი გაყო ცხრა-ათი ფუთ[...]

## ფელეტონი

### კიდევ ახალი ღონის-ძიება ფილოქსერის წინააღმდეგ

ფილოქსერის მოსასპობლად ბევრნაირი ღონის-ძიებაა შემოღებული, ბევრის ახალის ღონის-ძიების პოვნას კიდევ მოელიან გაჭირებული ვენახის პატრონები, ცდას და ხარჯს არავინ არ ზოგავს, ვინც-კი შეგნებულია ამ ვაების სენის ძალას.

ჩვენც არ უნდა გვეზარებოდეს, ჩემის ფიქრით, ყურადღება მივაქციოთ საფრანგეთის მწერლობას, ვინ იცის, ეგებ ჩვენ უფრო იაფად დავისხვათ ის წამლები, ჩვენს ნიადაგს ეგებ უფრო კარგად გამოადგეს ფრანგების მიერ მოგონებული ფილოქსერის მომწამვლელი წამლები. ამით შეიძლება ავშორდეთ წყლის წამლის თესვას, რომელსაც გვირჩევდა ბ-ნი მარიონი.

ამას წინად ბ-ნმა კ. ბაქრაძემ გადათარგმნა ერთი წერილი საფრანგეთის სამეურნეო ჟურნალიდგან შესახებ თრიმლი გაშენებისა ვენახებში. საფრანგეთში ბევრია დარწმუნებული, რომ თრიმლის წვენი თუ ჩასცდა ფილოქსერას, უთუოდ მოიწამლება, მაშასდამე რა-კი ზვარში თრიმლი ხშირი იქნება, იქვე არ არის, ფილოქსერა ხშირად წააწყდება ამ მის მომწამლავს წვენს და იმედია მით ზვარს ბევრი მტერი მოაკლდება და შესაძლოა, ამბობს ის ჟურნალი, თრიმლ[...] მრავალ ზვარში ფილოქსერა სულ მოისპოსო.—ამ ამბავს ბევრმა ყურადღება მიაქცია; ეხლაც ზვარის პატრონს რომ შეხვდები, მაშინვე გეკითხება შესახებ თრიმლის გაშენებისა და ბევრს ისე გაუგია ეს ამბავი, რომ ვითომ მე საცდელად-კი არა ვრგავ თრიმლს ჩემს ფილოქსერით განადგურებულს ვენახში, არამედ ვითომ ნაცადიცა მაქვს და ჩემი ზვარი კიდეც ვიხსენ ამ სენისაგან.

არა, წაკითხვა, გაგონება სასარგებლო ამბავისა ძლიერ საჭიროა ყველასთვის, მაგრამ გაგონებაც და წაკითხვაც წესიერად უნდა, არც ტყუილ იმედებს უნდა მიეცეს კაცი და უიმედობასაც უნდა აშორდეს: ცდა ურიგო არ არის. თრიმლის გაშენება ვენახში დიდი ხარჯი არ მოსდევს, მთელის ყვირილის ხეობა და ჩხირიმელასი სავსეა ამ თრიმლით, მაშასადამე, ვსცადოთ, დავრგათ თრიმლი აქა-იქ, თუ წამლათ შეერგება, თორემ წახდენით არაფერს წაახდენს და შემდეგაც ვილაპარაკოთ, თუ რამდენად სასარგებლოა ეს ღონის-ძიება.

ასრე გრძელად იმიტომ მოგახსენებთ თრიმლის შესახებ რომ არც იმათ, ვისაც დაუჯერიათ რომ მე თრიმლის საშუალებით ვენახი განვათავისუფლე ფილოქსერისაგან და არც იმათ, ვინც კრიტიკულად, ეჭვით შეეგებენ თრიმლს არაფერი არ გაუკეთებიათ, არც ერთს არ გაუშენებია თრიმლი, ლაპარაკით და კითხვით დღესაც ბევრს ლაპარაკობენ და კითხულობენ.

რასაკვირველია, კრიტიკულად საქმის გარჩევა, შეგნება საგნისა უცხო საქმეა, მაგრამ მაგარიც შეგნებაა, საქმიანობის მაგივრად თუ კრიტიკა ლობე-ყროეს მოედვა, რა გამოვა!?

ჯერ ბევრს თრიმლის სახელიც არ გაეგონა, არ იცოდნენ, თუ თრიმლი რა მცენარეს ჰქვია და იმას-კი ამტკიცებდნენ, რომ თრიმლს ფილოქსერა არა სჭამსო, არ წაეკარებაო და სხვანი...

არა, ბატონებო, ევროპაში სა[...]სხარო და საჭორიკანო გაზეთი ბევრი მოიპოვება, მართალია მაგრამ როცა ევროპიელი სწავლული სამეცნიერო საგანს შეეხება და მასთანავე დაბეჯითებით ამტკიცებს, რომ ეს ღონე ჩემგან ნაცადია და გირჩევთ სცადოთ, ჩვენ უსწავლელებს და მასლაათის მოყვარეებს, არ შეგვფერის კრიტიკას ხელი წავავლოთ; არა, ჩემის აზრით, უმჯობესი იქნება პრაქტიკულად შევხედოთ საქმეს და ვსცადოთ. „ცდა ბედის მონახევრეაო“, ამბობს ჩვენებური ანდაზა.

საფრანგეთის სამეურნეო ჟურნალი სწერს „Journal d'agrieulture protigue № 50—1893: ჩვენ ბევრი გვეკითხება შესახებ ახლად მოგონილის საშუალებისა ფილოქსერის წინააღმდეგ და ამის გამო დავინახეთ საჭირო დავბეჭდოთ [...]ვრცელად ის მოხსენება, რ[...]ლიც ბ-ნმა დემელიმ ბელლევილ[...] მემამულემ, წაიკითხა საფრანგეთის სამეურნეო საზოგადოების კრებაზედ.

მზეთიანი ფიქალი (Schist) მადანით და ტორფით ვსწამლობდი მე ჩემს ფილოქსერით განადგურებულს ზვარს ორის წლის განმავლობაში და არ შემიძლიან უყურადღებოდ დავსტოვო ჩემი შრომა და არ მოვახსენო საფრანგეთის სამეურნეო საზოგადოებას, თუ რა შედეგი იქონია ამ ჩემმა ცდამ, მით უმეტეს ახლა, როდესაც ამერიკულმა ვაზმა ესრედ მოგვატყუა, ჩვენს იმედებს ფრთა შეაკვეცა.

მე ვსთხოვ საზოგადოებას, ნება მომცეს რამდენისამე სიტყვით ავწერო ის გარემოებანი, რომელთა გამოც ფიქრად მომივიდა ეს წამლობა მეხმარა ფილოქსერის მოსასპობლად. მე ვამზადებ ეხლა საერო განათლების მინისტრისთვის ერთს გამოკვლევას ,,ბერძნული ლაპიდერები‘‘ (სამარხ ქვათა ზედ-წარწერნის ენა) „ამისთვის აუცილებლად საჭი-

დარჩენოდა და ისიც-კი არ იქმებოდა, კვამლის საზიზღარი სუნი ასდენოდა.

ბედნიერ დღისათვის სოფელმა გამომცხვარი პური შეუგროვა საწყალს.

*** გაზ. „Бирж. Вѣд.“-ი იუწყება, რომ ფინანსთა მინისტრი დასთანხმდა კავკასიის რკინის გზაზედ შემოღებულ იქმნას საცდელად ნავთის გადასატანად მოძრავი გარდასახადი ყოველთვის იმის კვალობაზედ რა მაზანდითაც გაიყიდება ნავთი საზღვარ-გარეთის მაზრებში.

*** იმავე გაზეთის სიტყვით, ფინანსთა და შინაგან საქმეთა სამინისტროებს ერთად შეთანხმებით შეუმუშავებიათ წესები საერობო გარდასახადის მოკრებისა. ეს წესები ამ ახლო ხანებში გამოცემულ იქმნება და ადგილობრივმა კომიტეტებმა პირველ აპრილიდგან უნდა იხელმძღვანელონ კიდეც საერობო გარდასახადის მოკრების დროს.

## დ ა მ ა კ ვ ი რ დ ი

—

ღვინოს ღირსი არ არის ის ადამიანი, რომელიც ამ სასმელს წყალსავით ჴსმარობს.

ბოდენსტედტი

**

ქარიშხალისაგან გადაქცეულს ხეს ფურცელი უფრო მეტი აქვს, ვიდრე ფესვი.

ჩინური ანდაზა

**

ათასის ღირსების შეძენა უფრო ადვილია, ვიდრე ერთის ნაკლულევანების თავიდგან მოშორება.

ლაბრუიერი

## ნ ა წ ყ ვ ე ტ ი

—

ენავ, რამდენჯერ ავთათვის
ისარი შეგიტყორცია,
რამდენის გული გიგმირავს,
რამდენი დაგიხოცია!..
თოფსა და ხმალსა გმირობა
დღეს შენთვის დაულოცია,
ყმა-მონებისა გამოსხნაც
ღმერთს შენთვი მოულოცია.

## კ ო რ ე ს პ ო ნ დ ე ნ ც ი ა

—

**სოფ. ბოდბე.** (სიღნაღის მაზრა), 15 იანვარს. იანვრის 14-ს საქართველოს ყველა კუთხეში დღესასწაულობენ ქართველთა განმანათლებელის წმ. ნინოს გადაცვალების დღესა. თუმცა ყველა ქართველი დიდის მოწიწებით ეგებება ამ დღესასწაულს, მაგრამ ყველაზედ უფრო გულ-მხურვალედ ეგებებიან და ლოცულობენ ქიზიყელები; წმ. ნინომ ვაზის ჯვარით, შემდეგ სხვა-და-სხვა ადგილებში ქადაგებისა, იქადაგა ქიზიყში, სადაც ბევრის დევნისა და ტანჯვის შემდეგ აღსრულდა. ქიზიყელებს წმ. ნინო მიაჩნიათ თავიანთ საკუთარ წმინდანად და ამიტომ მის საფლავზედ და მის სახელობაზედ აუშენებიათ ტაძარი, რომელშიაც დღემდე დიდის სასოებით დაიარებიან აქ სალოცავად.

წმ. ნინოს ტაძარი იმყოფება სოფ. ქედელში, რომელიც სოფ. ბოდბეზეა მოწერილი და მასთან ერთად ერთს სამამასახლისოს შეადგენს. ამ დღესასწაულ დღეს დიდ ძალი ხალხი ესწრობა სოფ. ბოდბიდგან. დიდი-პატარა მიდის სალოცავად და ყველა მათგანსა სურს სანთელი დაანთოს, პირჯვარი დაიწეროს და შეევედროს წმ. ნინოს. მაგრამ ბევრი ვერ ასრულებს თვის წადილს, სივიწროისა გამო ეკკლესიაში არ უშვებენ. არ იქმნება ურიგო, ვისაც ჯერ არს, მიაქციონ ამ გარემოებას ყურადღება. სხვა სოფლებზედ უფრო ძლიერა სწყინთ ბოდბელებს ეს გარემოება და ამბობენ: „რისგან არი, რომ ჩვენ წმ. ნინოსთან აღარ გვიშვებენო ე ხო ჩვენი აშენებულია და ჩვენც მაგის ყმანი ვართო!?“ მართლაც ბოდბელები უწინ წმ. ნინოს ტაძრის საეკკლესიო გლეხებად ითვლებოდნენ და ამათი დედულ-მამულიც საეკკლესიო იყო. როცა ივანე ბოდბელი (იგივე მაყაშვილი) მიტროპოლიტად იყო წმ. ნინოს, მაშინ ბოდბის საეკკლესიო მამულები მდ. ივრის გაღმა განჯის საზღვრამდის მიაღწევდა, ახლაც-კი ბევრს გლეხსა აქვს ბოდბეში ივანე ბოდბელისგან ბოძებული სიგელები. ამას წინად ბოდბელებს და ბოდბიხეველებს მოუვიდათ ერთ მამულზედ ლაპარაკი და ბოდბელებმა მიტროპოლიტი ივანე ბოდბელის სიგელით გაამტყუნეს ბოდბიხეველები...

გამოიცვალა დროებაო, იტყვიან ხოლმე ბოდბელები, უწინ სად იყო ეს ამბები, თავისუფლად შევდიოდით წმ. ნინოს ეზოში, ღამეს ვუთევდით, ვმღერობდით და ვთამაშობდითო და არც არავინ იყო ჩვენი დამშლელიო, მაგრამ ახლა, ჩვენი ხეირი წავიდაო; იმოდენა გალავანი შემოარტყეს გარს წმ. ნინოს და იმდენი ყარაულები დააყენეს კარებზე, რომ სანთლის დანთებას ვინლა ჩივის, შიშით ახლოს ვერც-კი გაგვივლიაო. ჩვენ კიდევ რა გვიჭირს, საკუთარი ეკკლესია მაინცა გვაქვსო, მაგრამ ამ საწყლებმა ქედელებმა იჩივლონ, რომ აქამდის წმ. ნინოს ლოცულობდნენ და ახლა დარჩნენ ცარიელები, ვერც სხვა ახალი ეკკლესია აუშენებიათო და გაწვალებულები სხვა სოფლის ეკკლესიაში დადიანო“...

წელს უფრო კარგი დღესასწაული ჰქონდა წმ. ნინოს; ბუნებამაც ხელი შეუწყო, კარგი, თბილი, მზიანი დღე დადგა, ხალხიც ბლომად იყო და წირვაც უწინდელზედ უკეთესი იყო. ძლივს გვედირსა წირვის დროს ქართულად რამდენისამე ლოცვის გაგონება და ესეც მ. არხიმანდრიტ ლეონიდის მეოხებით, რომელიც ამ დღეს მწირველი იყო იქაურ ახლო-მახლო სოფლების ბლაღოჩინებთან ერთად. ბოლოს მ. არხიმანდრიტმა ლეონიდმა ქართულად საგრძნობელი სიტყვა წარმოსთქვა წმ. ნინოზედ და მლოცველმა ხალხმაც დიდის მოწიწებით და სიამოვნებით მოისმინა,—წირვაზედ მოლოზნები გალობდნენ რუსულად, ხანდისხან რუსულ კილოზედ «უფალო შევვიწყალესაც» ურევდნენ...

უწინ მამა გრიგოლ კარბელაშვილის მეოხებით წმ. ნინოს ტაძართან გამართული იყო სადიაკვნო სკოლა, რომელსაც დიდი სარგებლობა მოჰქონდა, მაგრამ ახლა მის მაგიერ სამოლოზნო ქალთა სკოლა გაჰმართეს. ააშენეს სამ-სართულიანი დიდი შენობა სკოლისთვის და ცდილობენ ოთხკლასიანი საეკკლესიო ქალთა სკოლა იქონიონ...

რაც შეეხება გარეგნობით წმ. ნინოს დღესასწაულს, არ იყო უწინდებურად არც დაფა-ზურნა, არც ჭიდილი და არც ცხენების ჯირითი,— ისეთი სიჩუმე ჰსუფევდა, როგორც შეეფერება მოლოზანთა მონასტეს: მხოლოდ თითო-ოროლა ვაჭრებს სიღნაღიდგან მოეტანათ მცირე რამ-რუმე სავაჭროდ და ისინიც გალავნ გარედ ვაჭრობდნენ. სხვათა შორის, სიღნაღის ღარიბ ქართველთა წგნის მაღაზიასაც გამოეგზავნა გასასყიდად ერთი კალათა წიგნაკები და ლუნდრები, მაგრამ, სამწუხაროდ არა ჰქონდათ წმ. ნინოს ბროშურები, რომელიც უფრო ძალიან ბლომად გაიყიდებოდა ამ დღეს.

ბობელი

## წ ე რ ი ლ ი რ ე დ ა ქ ც ი ი ს მ ი ა რ თ

—

ნება გვიბოძეთ, თქვენის პატივ-ცემული გაზეთის საშვალებით, უღრმესი მადლობა უძღვნათ ბ-ნ. სვიმონ სამსონის ძეს წერეთელს, რომელმაც ასკანის სასახლო წიგნთ საცავს შემოსწირა ორმოც და ათის მანეთის სხვა და სხვა ქართულ-რუსული წიგნები.

ასკანის წიგნთ-საცავის დამაარსებელთაგანი

სოლომონ ჭეიშვილი.

18 იანვარი
1894 წ.

## ფ ა რ მ ა ც ე ვ ტ უ ლ ი ტ ე რ მ ი ნ ე ბ ი ქ ა რ თ უ ლ ს ე ნ ა ზ ე

(წერილი რედაქციის მიმართ)

თხუთმეტს წელიწადზედ მეტია რაც ჩემ სპეციალურ საგნის ფარმაციის, ქართულ ტერმინებს ვკრეებ, ამისთვის გადავიკითხე სხვა-და სხვა ძველი და ახალი კარაბადინები და აგრეთვე გადავსინჯე ყოველ ნაირი, ამ საგნის შესაფერი ლექსიკონები; მივმართე მცოდნე პირთ და ჩვენს ესრედ წოდებულ შინაურ ექიმებს. ყველაზედ ძლიერ-კი ამ საქმეში დამეხმარა პირადი ჩემი სწავლა-გამოცდილება.

ჩემ და ყოველთა სასიხარულოდ იქამდე უნაკლულოდ შემუშავდნენ ფარმაცევტიული ტერმინები ქართულ ენაზე, რომ დღეს მე მსურს ჩემი შრომის შედეგი გაზეთის საშვალებით ქართველ საზოგადოების კუთვნილებად გავხადო. ამიტომაც უმორჩილესად ვსთხოვ „ივერიის“ რედაქციას, დამითმოს თავის პატივცემულ გაზეთში მცირეოდენი ადგილი რამდენიმე ნომერში. ამ თხოვნის შეწყნარების იმედი მით უფრო მაქვს, რომ ჩვენში გაზეთს, სხვა-და-სხვა გარემოებათა გამო, უფრო მრავალ ფეროვანი დანიშნულება აქვს, ვიდრე სხვა ჩვენზედ დაწინაურებულ ერის გაზეთებს—ერთს დროს-კი იმათაც ჩვენი დღე ედგათ.

თანაც რითი ვიცით, რომ საქართველოს რომელიმე კუთხეში დაღონებული არა ზის უანგარო შრომის მსურველი, რომელიც გულითადი მოწადინებულია სამშობლო ლიტერატურას შესძინოს შეძლების დაგვარი წვლილი ან სამედიცინო და ან საფარმაციო მეცნიერებიდგან, მაგრამ ტერმინების უქონლობის გამო-კი ვერ გაუბედია განახორციელოს ეს თავის წმიდა ლტოლვილება.

ამას ისიც უნდა დავუმატოდ, რომ ამ ბოლოს დროს ჩვენს ჟურნალ-გაზეთების რედაქციებს უფრო და უფრო აუცილებლად სჭირდებათ წამლების სახელები და სთარგმნიან კიდეც, მაგრამ ზოგჯერ ისე საშინლად ამახინჯებენ, რომ სრულებით არ ეთანხმება არც ფიზიკურ და არც ქიმიურ თვისებას სხეულისას.

მაშასადამე დრო თავისას ითხოვს. მარტო მესტვირობით ბურთს ვერ გავიტანთ და ამ მდგომარეობაში მყოფ სამშობლო სამეცნიერო ლიტერატურას დიდ სამსახურს გაუწევთ, უკეთუ ყველა ჩვენგანი დროზედ მივაშველებთ ვისაც-კი რა ტერმინი გვიპოვია და შეგვიმუშავებია.

თუმცა თვითონ მე ყველა სამკურნალო წამლის სახელი ქართულ ენაზე ნამდვილად მიმაჩნია, მაგრამ უცოდველი მხოლოდ ისაა ვინც არას აკეთებს. ამიტომ მივმართამ ყველა შეგნებულ ქართველს, რომელსაც სამშობლო სამეცნიერო ლიტერატურის წარმართებისთვის გული შესტკივა და უმორჩილესად ვსთხოვ არ დაზოგოს შრომა და ამ წმინდა საქმეში თავის გონივრული შენიშვნებით დამეხმაროს და გამისწოროს შეცდომები. მხოლოდ ამ გვარ ურთიერთა შემწეობით შეიძლება ერთხელ და სამუდამოდ შევამუშავოთ და დავადგინოთ რომელიმე სამეცნიერო...

---

რო იყო შემესწავლა მინერალოგიის ისტორია როგორც სამეცნიერო მხრით ეგრეთვე მითოლოგიურად და შემეგნო ყველა მხრით მძიმე საგნები, რომელიც ამიხსნიდა ყოველ ამის არსებითს აზრს. ყველაზედ ძვირფასი მწერლები ძველთა დროისა ამ შემთხვევაში არიან გეოგრაფები. როცა სტრაბონს ვკითხულობდი, მე წავაწყდი ერთს სიტყვას“ ა მ პ ე ლ ი ტ ი ს; ამ სახელს უწოდებს ის მიწას, ფისით გაჟღენთილს, რომელიც იპოვებოდა აზიაში, როდოსში, სელევციის მაზრაში; ამნაირი სახელი იმიტომ რქმევია ამ მიწას, რომ ხმარობენ თურმე ვაზის წამლად და რაღაც ცხოველების დასახოცად. ამ მიწას, იხსენიებს აგრეთვე კლეოფრასტი და ძველი კიტონი; შუა საუკუნოების ისტორიაშიც შეხვდებით ამაზედ ლაპარაკს, თვით მიწას და ხან ამ მიწას, სხვა-და-სხვა ნაირად შემზადებულს ხმარობდნენ ვაზების საწამლოდაო. შემდეგ ხმა შესწყდა ამ წამლობის შესახებ, მხოლოდ არაბნი-კი იხსენიებენ ამ წამალს მე-XIII საუკუნეში.

„მეტად აღარ შევაწუხებთ ამ საგნის ისტორიაზე; ეს ამბავი მოვახსენე სამეცნიერო აკადემიას ამ წლის დამდეგს. ოღონდ ურიგო არ იქნება კატონის ერთი რჩევა მოვიგონოთ ამ წამლის შესახებ; ის ურჩევდა, ამ მიწისათვის დაემატებინათ გოგირდი და ერთად შეემზადებინათ უთუოდ სპილენძის ქურჭელში; მაშ თვით გამოცდილებას უჩვენებია მათთვის ოცი საუკუნის წინად, თუ რა საჭირო ნივთიერებაა გოგირდი და სპილენძი, როცა ვაზს სწამლობ კრიპტოგრამიკულ (ჩუმ მექორწინეთა) ცხოველთა მოსასპობლად.

„ძრიელ ძნელი გამოსაკვლევი-ყო, თუ რას ეძახდნენ ძველები ფისიან მიწას, მზეთიან მიწას, ბიტუმის მიწას. სტრაბონს თუ დავეკითხეთ, ის ეძახის იმ მიწას ფიქალო მიწას, რომელიც იპოვება ნავთის წყაროებს სიახლოვეს, მაგრამ ჯერჯერობით ამის შესახებ ნამდვილი ვერაფერი შევიტყვეთ. ბ ნმა გარეშე საქმეთა მინისტრმა უბრძანა თავის მოხელეებს, ელჩებს ანტიოქიაში და ალეპოში შეეტყოთ, იპოება იქ მაგნაირი მიწა თუ არა და ჯერაც პასუხი არა არის-რა.

თითქმის იმ დროსვე, როცა ფილოქსერამ ვაზების აკლება დაიწყო, შეიტყეს თუ არა ამ ცხოველის თვისება, ყველას მოაგონდა მზეთიანი ფიქალო მიწა და ნავთი. გადასწყვიტეს, რომ ეს ორი ნივთიერება უთუოდ დაჰხოცავს ამ უხილავ ცხოველსაო.

ენტომოლოგები (მწერთა ცხოვრების აღმწერი მეცნიერნი) კარგად იცნობდნენ ამ მადანთა მომწამვლელ თვისებას და, როცა მწერ-ჭიების დახოცვა უნდათ, ნავთით გაჟღენთილს ბამბაში ჩასდებენ და ცხოველი იწამლება. მაგრამ საუბედუროდ, გამოცდილებამ ერთი რამ დაგვანახვა: ნავთი რამდენადაც საუცხოოდ სწამლავდა ფილოქსერას, იმდენად ცუდად მოქმედებდა თვით ვაზზე ნავთის ძლიერება და მაგალითმა ძლიერ დამაფიქრა; თითქმის უარყოფა იყო სტრაბონის სიტყვისა. აკადემიის მეცნიერებმა კიდევ ის შეხსენა მომცეს, რომ სტრაბონს ფილოქსერის არსებობა არ ეცოდინებოდაო, ეს ცხოველი ისრეთი მცირე მწერიაო, რომ ძველები მაგას ვერ შენიშნავდნენო, რადგანაც თუ არ დურბინდით, ისე არ დაინახებაო და ძველებს გამადიდებელი შუშები, დურბინდები არა ჰქონიათო.

ამის პასუხი ადვილია. საბუთი გვაქვს ვსთქვათ, რომ ძველებს გამადიდებელი შუშებიც ჰქონდათ და შორს გამჭვრეტი დურბინდიც! რენეკი თავის ბუნების მეტყველების წიგნში, ამ მეტად სამეცნიერო თხზულებაში ამაებს იხსენიებს და თანაც დასძენს, რომ ზოგნი ხმარობდნენ წმინდათ ნაწერის წასაკითხავად და ზოგნი თითს მკლავის ოდენად გამოაჩენდნენო. ასეა თუ ისე ჩემთვის გამოსადეგი ცნობა ის არის, რომ სტრაბონის ნახსენები მიწა ჰკლავს მწერს, რომელიც სცხოვრებდა ვაზის ძირებზედ და ძირებიდამ შტოებზედ ადიოდა. იმ წამალს, უეჭველია, უნდა შესძლებოდა ფილოქსერის მოწამვლაც, რომელიც ბევრით ჰგავს ძველთაგან აწერილს ცხოველს.

ჩვენ იმ დროსა ვსცხოვრობთ, როცა მარტო თეორია არ გვაკმაყოფილებს. მეცნიერება პრაქტიკაში თხოულობს არსებობას და ამის გამო არ მინდოდა მელაპარაკნა ჩემს მოხსენებაში ა მ პ ე ლ ი ტ ზ ე დ (ფისიან მიწაზედ, ფიქალოზედ), მის კარგსა თუ ცუდ ღირსებებზედ სანამდის არ გავარჩევდი იმ მადანს. ამ განზრახვით დავიბარე ის მადანი როდოსიდგანა და სელევციიდგან, ხელოვნებით შევადგინე ამპელიტისა და ვუწამლე ფილოქსერიან ვაზებს.

ბოჟოლეში ვსცადე ეს ჩემი საცადი, იქ მქონდა ერთი ზვარი ფილოქსერისაგან სრულებით განადგურებული, ზვარი ნარიყალ ადგილზედ იყო გაშენებული, დედამიწა საშინელი მძიმე იყო და მაშასადამე გოგირდით წამლობა არ მოხერხდებოდა, მეტი რა ღონე მქონდა, სულ აყრას ვაპირებდი, რადგანაც 30000 ვაზში ათასი ძლივს მრჩებოდა და ისიც ერთს კუთხეში და იმათაც ძლივს ჰქონდათ ფოთოლი გამწვანებული. აი, აქ გამოვსცადე ამპელიტისი.

დაბრკოლება კიდევ წინ მიდგა. რამდენისამე წლის წინად ეს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიერო ტერმინი სამშობლო ენაზე.

ქვემო მოყვანილ სიაში მოხსენებულ არიან მხოლოდ ის რჩეული წამლები რომელნიც უმაღლესის ბძანებით მეოთხედ გამოცემულ (1891 წ.) რუსეთის ფარმაკოპიაში არიან მიღებულნი და სავალდებულოდ დადგენილნი როგორც აფთიაქებისთვის ისე ექიმებისთვისაც.

ვარსკვლავი უზის იმ წამლის სახელს, რომელიც ქართულ ენაზე ან საეჭვოდ მიმაჩნია ან სასურველია, რომ სხვამ უკეთ გადმოთარგმნოს. ხოლო ქიმიურ სახელებში, ყოვლად უცოდველი მიმაჩნია ჩემი შრომა.

ანბანთ რიგი (ალფ̈ავიტი) მე ქართული ვარჩიე და ვისთვისაც საჭირო იქმნება რუსული ან ლათინური ალფავიტი იმას ადვილად შეუძლიან თვითონვე გააწყოს.

ვიდრე წამლების სახელების თარგმანს შეუდგებოდეთ, მე საჭიროდ მიმაჩნია ჯერ მარტივი სხეულები ვსთარგმნო, ის მარტივი (უბრალო) სხეულები ანუ ელემენტები, რომელნიც ერთმანეთთან შეერთებით წარმოადგენენ ქიმიურს რთულ სხეულს. ბუნებაში სამოცდა ათამდე მარტივი სხეულია აღმოჩენილი, რომელნიც ქვეყნის აშენებაში მასალად ყოფილან ნახმარი და ჩვენ-კი აქ მოვიყვანთ მხოლოდ ორმოციოდ ელემენტს (ბუნების მარტივ სხეულს), რომელთაგანაც შესდგებიან რთული სამკურნალო წამლები:

აზოტი—Азотъ—Nitrogenium.
ალუმინი (თიხის დედა)—Алюминій (глиніи)—Aluminium.
ანთიმონი—Сурьма—Stibium.
ბარისი—Барій—Baryum.
ბისმუთი—Висмутъ—Bismutum.
ბორი—Боръ—Borum.
ბრომი—Бромъ—Bromum.
გოგირდი—Сѣра—Sulfur.
ვერცხლი—Серебро—Argentum.
10.—თუთია—Цинкъ—Zincum.
იოდი—Іодъ—Iodum.
კადმი—Кадмій—Cadmium.
კალა—Олово—Stannum.
კალი—Калій—Kalium.
კალცი—Кальцій—Calcium.
კაჟი—Кремній—Silicium.
კობალტი—Кобальтъ—Cobaltum.
ლითი—Литій—Lithium.
მანგანი (შავქვა)—Марганецъ—Manganum.
20.—მარგიმუშკი—Мышьякъ—Arsenicum.
მაღნეზი (მაგნი)—Магній—Magnesium.
მჟავბადი—Кислородъ—Oxygenium.
ნატრი—Натрій—Natrium.
ნახშირბადი—Углеродъ—Carboneum.
ნიკელი—Никкель—Niccolum.
ოქრო—Золото—Aurum.
პალადი—Палладій—Palladium.
პლატინი (თეთრი ოქრო)—Платина—Platinum.
რკინა—Желѣзо—Ferrum.
30.—სინდიკი (ვერცხლის წყალი)—Ртуть Hydrargyrum.
სპილენძი—Мѣдь—Cuprum.
სტრონცი—Стронцій—Strontium.
ტყვია—Свинецъ—Plumbum.
ფოსფორი (ნათელა)—Фосфоръ—Phosphorus.
ფტორი (მჟამელა)—Фторъ—Fluorum.
ცერისი—Церій—Cerium.
წყალბადი—Водородъ—Hydrogenium.
ხლორი—Хлоръ—Chlorum.
39.—ხრომი—Хромъ—Chromum.

მგონი აშკარაა რამდენად ადვილია ქიმიურ სახელების ქართულად გადმოღება. თითქმის მთელი ევროპა დღესაც-კი ლათინურ და ბერძნულ ტერმინებს ხმარობს სამეცნიერო ლიტერატურაში და მეტადრე ბუნების მეტყველებაში აუცილებელია. მაშასადამე ნუ გავიკვირვებთ, რომ ქართულ ენაზე საკუთარი ტერმინი არა გვაქვს ზოგიერთა სახელების გადმოსათარგმნათ და ჩვენი სამეცნიერო ლიტერატურაც იძულებულია ლათინური და ბერძნული ტერმინები შეითვისოს. თუ-კი ჩვენზე დაწინაურებულმა ევროპის განათლებულმა ერმა არ ითაკილა ლათინური და ბერძნული ტერმინების შეთვისება, მაშ ჩვენისთანა ჩამორჩომილ ხალხისთვის განა რა სათაკილო უნდა იყოს? აი ამიტომ შეხვდებით ამ ჩემ ტერმინალოგიაში მევრგან იმისთანა სახელებს, რომელნიც ქართულად, რუსულად და ლათინურად ერთი და იგივე სახელია ინგლისურ, ფრანგულ და ნემეცურ ენებზე.

ჯერ დღესაც-კი როდესაც მეცნიერნი ახლად აღმოაჩენენ ხოლმე რომელსამე ცხოველს ან მცენარეს, ანუ რომელიმე ქიმიურ სხეულს და წამალს, მაშინათვე ლათინურ სახელს დაანათლებენ ხოლმე, განურჩევლად იმისა ის აღმომჩენი ბედნიერი მეცნიერი ინგლისელია, ფრანგია თუ ნემეცია. ასეა საზოგადოთ მიღებული.

ი. ალხაზიშვილი

(შემდეგი იქნება)

# ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებითგან)

ამას წინად გერმანიის მეცნიერმა კარლ იენჩმა დიდი თხზულება გამოსცა ასეთის სათაურით: „არც კომუნიზმი, არც კაპიტალიზმი", რომელშიაც რუსეთისათვისაცა აქვს დათმობილი ერთი თავი. აი ეს მეცნიერი, გაზ. „Недѣля"-ს სიტყვით რას ამბობს რუსეთის შესახებ:

რუსეთი იგივეა ჩვენთვის, რაც სლავიანთა მიწა-წყალი ინნიდგან დაწყებული ელბამდე ჩვენის მამა-პაპისათვის იყო, ესე იგი ჩვენთა, თვით ბუნებისაგანვე ჩვენი წილ-ნახვედრია ახალ-შენების გასამართავად.

ახალ-შენების გამართვა რუსეთში მით უფრო ადვილია, რომ დედამიწაზედ არსად მოიძებნება ორი ისეთი ერი, ასე შემავსებელი ერთი მეორისა, როგორნიც არიან რუსები და გერმანელები, რადგან გერმანელებს ვალად აქვთ გაანათლონ რუსები და რუსებს—იგემონ ეს განათლება.

გერმანელებმა შეიტანეს წმინდა ჯავრი რუსთა ბარბაროსობაში, ინტელიგენცია შეადგინეს, მრეწველობა ფეხზედ წამოაყენეს და ევროპის განათლების ელფერი დასდეს; რუსებს ისიც-კი არ შეუძლიანთ, რომ თავისა მიწები ევროპიულის წესით მოხნან და მომკან, ამასობაში განათლებას-მოკლებულმა, მაგრამ მხნე ბოლგარიის ერმა-კი შესძლო ესა. რუსთა მდგომარეობა ყველასათვის ცხადია. მთელმა ქვეყანამ უწყის, რომ რუსთა გლეხი უქმობასა და სპირტის ოშხივარშია ჩაფლული, თანდათან დაბლა ეცემა და თუ იგებს რასმე, იმისა მოგება მიაქვს არაფრის მკეთებელს ჩარჩს; რომ გლეხი ნაყოფიერს მიწაზედ შიმშილით კვდება და იმის გამო, რომ მიწის მოვლა არ იცის, აზიანებს დედამიწას, ტყეებსა სჩეხს და ანადგურებს; რომ მდინარენი ილამება და ილევა; რომ რუსთა მოხელენი მექრთამენი და უნარს მოკლებულნი არიან და ინტელიგენტნი-კი მხოლოდ სასო-წარკვეთილნი ნიგილისტნი...,

იენჩის აზრით, რუსეთის გასანათლებლადა და ამასთანვე გერმანიის ეკონომიურად გასაუმჯობესებლად საკმარისია მხოლოდ, რომ რუსეთში ათი მილიონი გერმანელი გამოგზავნოს. ამის შიში არ უნდა გვქონდეს, რადგან რუსები ომს ვერც-კი გაგვიბედავენ, იციან, რომ დავსძლევთო. ესეც არ იყოს,

რუსეთის გაღატაკებული თავად აზნაურობა მალიან გახარებული იქნება, რა კი მიწის რიგიანს ვაჭარსა და იჯარადარს იპოვნის და რუსთა ღოთსა და დავალიანებულს გლეხკაცობას ესიამოვნება სამსახური გერმანელებთან, რადგან ლუკმა პურს მაინც იშოვის. რუსეთი ისევე გვჭირდება, როგორც ბარბაროსობა განათლებას და განათლებულის ერის მოვალეობაა დასძლიოს ეს ბარბაროსობა. ეხლა უფრო ადვილად შეიძლება ამ ქვეყნის განათლება, ვიდრე მე-IV და მე-V საუკუნეში იყო შესაძლებელი, რადგან ღოთობისაგან გამოზენტერებული, ყურებ დაშვებული და დუნდულა რუსები გერმანელები არ არიან, ხოლო შეერთებული გერმანია და ავსტრია სამხედრო ძალით რომის იმპერიას გაცილებითა სჯობს.

რუსეთსა და წინა აზიაში უნდა შესდგეს რესპუბლიკა მეფისა და ოსმალეთის უზენაესს მეთაურობით. ამ რესპუბლიკას უნდა ჰმფარველობდეს გერმანიის იმპერატორი, და ამ გვარად აღმოსავლეთი ევროპა და წინა აზია შეადგენენ ძლიერს გერმანელთა სახელმწიფოს, დაიცავენ ევროპის კულტურას რუსთა და მონღოლთა ურდოსაგან. იმისი არ უნდა გვეშინოდეს, რომ გერმანელთა შორის ბევრი სლავიანი ოსმალო იცხოვრებს და შეიძლება გარუსდნენ, ან გაოსმალდნენო. საკმარისია გავიხსენოთ, რომ დიდი ხანია ბალტიის ზღვასთან სცხოვრობს ერთი მუჭა გერმანელობა, სლავიანთაგან შევიწროებული, მაგრამ აქამდე შერჩენილა აქვთ გერმანული ენაცა, სჯულიცა და ზნე-ჩვეულებაც.

ეს ადგილი იენჩის თხზულებისაგან "Новое Время"-საც მოჰყავს და ამბობს, რომ ტყუილად გამოუწოდებიათ გერმანელებს რუსეთისაკენ ხელები, რადგან ეს დიდი ლუკმა ყელზედ დაადგებათ და დაირჩობიანო.

# რუსეთი

—

ამ ჟამად უწმინდესს სინოდსა და უცხო ქვეყნის შინაგან საქმეთა სამინისტროს სარწმუნოებათა დეპარტამენტს მიწერ-მოწერა აქვთ იმის შესახებ, რომ ქრისტეს სარწმუნოების სასულიერო წოდების კაცთ ნება მიეცეთ რკინის გზით უსასყიდლოდ იარონ, თუ რკინის გზა იმათ სამრევლოსთან არის გაყვანილი და თავისი სამსახურის აღსასრულებლად მიდიან სადმე.

—

პარიჟის გაზეთებში დაწვრილებით არის დაბეჭდილი ცნობები მალორასიულ დრამატიულ დასის შესახებ, რომელიც ამას წინად საფრანგეთში გაემგზავრა ბედის საცდელად. მიდიოდნენ თურმე არტისტები, მაგრამ იმათმა წარმოდგენამ ერთი ადამიანიც ვერ მიიზიდა. მარსელშიაც ასეთი ამბავი მოხდა. ხან ერთს თეატრს მიადგნენ თხოვნითა, წარმოდგენა გაგვამართვინეთო, ხან მეორეს, მაგრამ ჯიბე ცარიელს არტისტებს თეატრი არავინ მისცა. სასტუმროებიდგან არტისტებს საბრალულისაგამო არ ისტუმრებდნენ, მაგრამ საჭმელს-კი ან სულ არ აძლევდნენ და ან, თუ აძლევდნენ, მალიან მცირეს, თვით გამგე დასისა ბ-ნი ლერკახი ოდესაში გაიპარა თურმე და არტისტები უფულოდ დასტოვა. ვიდრე რუსეთის მთავარ-ელჩს დეპეშით მიწერ-მოწერა ჰქონდა პარიჟში რუსეთის საელჩოსთან, მალოროსები სწორედ სასოწარკვეთილებას მიეცნენ, სთხოვდნენ გემის პატრონებს, ბათუმამდე მაინც მიგვიყვანეთო, მაგრამ აქაც უარი უთხრეს. 47 არტისტი მარსელში იყო ულუკმაპუროდ დატოვებული. ამათ ორიოდე გროში შეჰკრიბეს, რაც-კი მოეძევებოდათ, მისცეს სამს კაცს და ესენი პარიზში წავიდნენ თურმე შემწეობის საპოვნელად. მართლაც იმათმა ამბავმა თანაგრძნობა გამოიწვია, ქ-ნმა ფრედერიქსმა მარსელში 150 ფრანკი გაუგზავნა არტისტებს, გაზ. „Temps"-ის რედაქციამ 500 ფრანკი, ზოგსაც საელჩონი დაეხმარნენ და ამ გვარად წამოვიდნენ თურმე რუსეთში მალორასიელების არტისტები.

—

გერმანიის ჯარში დიდი ხანია ძაღლებსა სწრთვნიან ომიანობის

---

წმინდა ნავთით წამლობა და ნავთს მოეწამლა, არამცთუ ფილოქსერა, თვით ვაზიც გაეხმო; ამას შემდეგ ვაზის ძირებს დააყარეს წმინდა ფიქალო მიწა დაფქვილი. ამანაც ვერაფრად არგო; მართალია ალებასტრარეული ფიქალო მიწის მიზეზით ვაზის ფესვებს კარგად გაედგათ ძირი, მაგრამ ფილოქსერას მაინც ვერა დააკლებოდა-რა. ამ შემთხვევით უნდა მესარგებლნა და, თუ ცოტათიც არის გონივრული წამლობა მინდოდა, ისეთს მასალაში უნდა ამერია ფიქალო მიწა, როგორსაც ხმარობენ ნახშირმჟავე გოგირდის წამლობაში ფილოქსერის წინაამღდეგ; ეს მასალა ვაზელინია, ე. ი. ისეთი ნივთიერება, რომელიც ღრუბელივით შეიჟონავს ფიქალოს მჟავეს და ცოტ-ცოტათი [illegible] მიწას და არა ერთბაშად. მაგრამ ვაზელინის მაგიერ ავიღე ტორფი (ტბორის მიწა). ტორფს ჩვენს ნორმანდიის ბოსლებში ხშირად ხმარობენ, ტორფი საშინლად შეიჟონავს ნაკელის სინამეს, საქონელთა შარდს, მთელს ამონიაკულ გაზს ბოსლისას იმ ნაირად შეიშრობს თავის ღრუბელის გვარ სრუტეებით, რომ არ შეიძლება ცუდი სუნი დადგეს ბოსელში, ან პატივი ცუდად აშმორდეს, და აი ეს ტორფი ვიხმარე ვაზელინის სამაგიეროდ.

რაკი ეს გამოსადეგი მადანი გამოვძებნე, ეხლა უნდა გადამეწყვიტა, რა მეხმარა ფილოქსერის მომწამლველ წამლად, ნავთი თუ ფისიანი ფიქალო; მე ავიღე ფისიანი ფიქალო, რადგანაც ფისიანი ფიქალო უფრო დაუწმენდილი წმინდა მადანი იყო. ამასთანავე ვფიქრობდი მარტო ამის სუნი საკმაოდ გაზდევნის, ფილოქსერას-მეთქი, გარდა ამისა, რომ ამასვე, ამ ფისიან ფიქალოს, რამდენიმე ის მჟავეთიც ახლავს-თქო ფარულად, რომელიც ითვლება საწამლავად, ალკალოიდურ (щелочный) ანუ პირიდიკულ არსებითად (колчедонъ).

ბ-ნ ეტარდის ანალიზიც, რომელსაც აქვე გიჩვენებთ, ნათლად დაგანახვებთ, თუ რითი არის შეზავებული ეს მადანი.

რაც შეეხება იმას, თუ რა ზომით დამეყარა წამალი, ამაზედ არაფერი დაბეჯითებული აზრი არ მქონდა გამორკვეული. მე ავიღე ვარაუდით მეათედობით და დავიწყე არევა მასალისა; ასე უფრო ანგარიშს გამოიყვანს კაცი-თქო, ვამბობდი. დანაყარ ტორფის სიმრავლე მიჩვენებდა ყოველთვის ფიქალო მიწის ზომას; მოვაკლებდი თუ მოვუმატებდი ტორფს, მოემატებოდა ან მოაკლდებოდა ფიქალო მიწის ზომასაც. ეჭვი არ არის, რომ ამ ნაირად წამლობა ბრმა წამლობა იყო. თავდაპირველი შესატყობი საგანი ის იყო, რომ ფიქალო, ამ ნაირად ტორფში არეული, აწყენდა თვით ვაზს თუ არა? პირველადვე გამოცდამ სასიამოვნო პასუხი მომცა. აღმოჩნდა რომ ვაზს სრულებით არა სწყენდა. იანვარში წარვუდგინე სამეცნიერო აკადემიას ერთი კონა ვაზის შტოებისა და თებერვალში—სამეურნეო საზოგადოებას ერთის წლის ნაწამლი ვაზის შტოები, რომელთა სიგრძე 3 მეტრ ნახევრისა იყო; ამ ვაზებისთვის მქონდა დაყრილი 160 გრამი ტორფი, ე. ი. 16 გრამი ფიქალო მიწა თითო წამლობაზედ და ორჯერაც მქონდა ნაწამლი, სულ 32 გრამი ფიქალო მიწა.

თვით წამლობის დროს არ მქონდა კარგად გამორკვეული, არ ვიცოდი, ფიქალო ფილოქსერის გამდევნელი წამალი იყო, თუ მომწამლველი? ამის პასუხად საბუთი არა მქონდარა.

თუ ფილოქსერის საწამლავს მაშინ სჯობიან-მეთქი გაზაფხულზედ დავაყარო, როცა ფილოქსერა კვერცხს სდებს, მაშინ ეს უხილავი ცხოველები სულ დაიხოცება და ვაზი თავისუფლად გაიდგამს ფესვს თავის ძირიან ფესოებიანათა-მეთქი.

ხოლო თუ ფილოქსერას გამდევნელია, მაშინ ყველაზედ კარგი დრო ფილოქსერის ყრის დრო იქნება-მეთქი, ვამბობდი და ამაების ასახსნელად საცდელი ვენახი ორ ნაჭრად გავყავი. პირველს ნაჭერში ერთს ნაწილს ვუწამლე მარტში, მეორეში ივანობისთვეში, მერმე პირველს ნაწილში კიდევ ივანობისთვეს, ასე რომ პირველს წელიწადშივე მქონდა ნაწამლი საცდელად აღებულ ვენახში ერთი ნაწილი მარტში, ერთიც მარტში და ივანობისთვეში, ერთს ნაწილში მარტო ივანობისთვეში. ცდამ ეს დამანახვა, რომ მარტო-მარტში და ივანობისთვეში ნაწამლი და მეორე ნაწილი მარტო ივანობისთვეში ნაწამლი ვაზები უკეთეს მდგომარეობაში იყო, ვიდრე სხვები, მაგრამ ესეც-კია რომ ეს განსხვავება იმიტომ უნდა მომხდარიყო იმ ნაჭერში, რომ ტორფის მაგივრად ვიხმარე დაკეპილი ჩვრები, ნავთით გაჟღენთილები და, რასაკვირველია, ისე კარგად არ იმოქმედებდა, როგორც ტორფი.

წელსაც თითოეული ვაზი მშვენივრად ჰხარობს და მტევნები მრავლად ასხია. ამასვე უნდა დავსძინო, რომ გულის დასაჯერებლად ნოემბერში კიდევ ვუწამლე და აპრილშიაც ვსწამლობ. ეს ვაზები, რომელიც წარმომიდგენია საზოგადოების წინაშე, ოთხჯერ ნაწამლია იმ ანგარიშით, რომ რამდენსამე ვაზს მათ შორის დაეყარა 12 გრამი ფიქალო ამ თოთხმეტის თვის განმავლობაში. ამ ხანში ეს ვაზები გაუცდენელად სწოვდნენ ფიქალო მიწას, როგორც თქვენ თითონ ჰხედავთ. აპრილში ანალიზმა მაჩვენა, რომ ტორფს კიდევ მრავალი ნიშნები ჰქონდა ფიქალოსი.

პ. წულუკიძე

(დასასრული იქნება)

დროს ჯარში გამოსაყენებლად. ეხლა რუსეთის ჯარშიაც განუზრახავთ შემოიღონ ძაღლების წვრთნა. ამას წინად რიაზანში მყოფ მე—35 ქვეითა დივიზიის შტაბს მიუმართავს მოსკოვის საზოოლოგიო ბაღისათვის და უთხოვნია, რამდენიმე ციმბირის ჯიშის ძაღლი გამოგვიგზავნეთ, რათა გავწრთვნათ და ომიანობის დროს დარაჯობა შევასწავლოთო. იმედი აქვთ, ციმბირის ჯიშის ძაღლი უფრო ივარგებს ჯართან ომისათვის გამოსაყენებლადაო.

## უცხოეთი

**ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ.** ბისმარკი დაპირებისამებრ 14 იანვარს მისულა ბერლინში, თან ჰყოლია თავისი შვილი ჰერბერტი და ექიმი შვენნინგერი. ექსკანცლერი, ბერლინის გაზეთების სიტყვით, ძალიან მოხუცებულა დ გამხდარა. იმპერატორი ვერ მიჰგებებია ამ დღეს რკინის გზის სადგურზედ, რადგან სწორედ ამავე დროს რკინის გზის მეორე სადგურზედ, საქსონიის მეფე ჩამოვიდა თურმე. კანცლერად ნამყოფს სადგურზედ დახვედრია პრინცი ჰენრიხი. „გერმანიის სტუდენტთა კავშირის“ წევრნი ქუჩაზედ დამწკრივებულნი იყვნენ, ბისმარკმა და პრინცმა ჰენრიხმა ეტლით ჩაიარეს და მივიდნენ სასახლეში. მთელი ქუჩები ბაირაღებით იყო მოფენილი და ხალხით ავსებული. ეტლის გამოვლაზედ გაისმა „Hoch“-ის ძახილი; ქალებმა ხელსახოცების ქნევა დაიწყეს. იმპერატორმა მიიღო ძვირფასი სტუმარი და დიდხანს აელაპარაკა მარტო. კაპრივი და სხვა მინისტრებიც იყვნენ თურმე იმასთან დარბაზად, მაგრამ ნახვით-კი ვერა ჰნახეს და სადარბაზო ბარათები დასტოვეს.

ბისმარკი იმ საღამოსვე უნდა დაბრუნებულიყო ფრიდრიხსრუეში. საფრანგეთის გაზეთები ამბობენ, რომ ეს დაახლოვება იმპერატორის ვილჰელმისა და ბისმარკისა იმას მოასწავებს, რომ გერმანიის იმპერატორი დაჰყოლია ერის ხმასაო.

## ნარევი

ერთი კეთილშობილის ოჯახის ყმაწვილი კაცი ქაღალდსა თამაშობდა და ქურდობა შეამჩნიეს. რსე ემწვავათ ეს ამბავი მასთან მოთამაშეებს, რომ ასწიეს თავისი უღირსი ამხანაგი და პირველ სართულის ფანჯრიდგან ქუჩაში გადააგდეს. ყმაწვილი კაცი წამოდგა, გაიქცა ერთს თავის მეგობართან და ჰკითხა, რას მირჩევ როგორ მოვიქცეო?

— მე მხოლდ ერთის რჩევის მოცემა შემიძლიანო, უპასუხა მეგობარმა. ამიერიდგან ეცადე სულ ძირის სართულებში, ითამაშო ხოლმე ქაღალდიო.

**

ქარაფშუტა კაცი თავს იქებდა ერთს გონება მახვილის წინაშე და ბაქიაობდა, რომ ოთხი ენა ვიციო.

— მომილოცნიაო, უთხრა გონება მახვილმა: ოთხი სიტყვა გქონიათ ერთის აზრის გამოსათქმელადაო.

**

ერთმა კოპწია კაცმა ყველას თავი მოაბეზრა თვისის უაზრო ლაპარაკით, ბოლოს იჩივლა: თავი მტკივა ძალიანიო და ხუმრობით დასძინა, დიდებულ კაცთა ავადმყოფობააო თავის ტკივილი.

— მაშ რწმუნებული გექმნებათ გადმოცემული თავის ტკივილზეო, უპასუხა ერთმა ქალმა.

## ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲓᲔᲒᲘ ᲪᲜᲝᲑᲐ

ფქვილს მალიან ხშირად გაურევენ ხოლმე, გარდა სახამებლისა, დაფქულ მარცვლოვან მცენარისა, კიდევ ისეთს ლითონს, როგორიც არის მელი, თიხა და სხვ. ამის შესატყობად, თუ რა არის გარეული ფქვილში, მაღალს მინის ცილინდრში ჩასჭყრიან ორ მისხალ იმ ფქვილისას, რომელიც გასასინჯავთ უნდათ, დაასხმენ ზედ ექვს მისხალს ხლოროფორმს და კარგად აჯანჯღარებენ. თუ ფქვილში არის რამ გარეული, შემდეგ ამ ჯანჯღარისა ეს ერთად არეული ორად იყოფება: ფქვილი რჩება ზევით და ძირს დაილექს, რაც ლითონი აქვს გარეული. წინააღმდეგ შემთხვევაში სრულიად სუფთა ფქვილი რჩება.

## დეპეშა

19 იანვარი

**ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ.** ხელმწიფე იმპერატორს სიცხე 37 გრადუსი აქვს; მაჯა კარგად უცემს, ანთების ნიშნები აღარ ეტყობა, ბრონხიტი ნელდება, ძილი კარგი აქვს, ცოტაოდენი მადაც მოუვიდა, სისუსტე უმცირდება.

**ᲞᲐᲠᲘᲟᲘ.** ლოკრუა შეეკითხა პალატას ფლოტის მდგომარეობის შესახებ. ლოკრუამ ჰკითხა, სად წავიდა გადადებული ფულიო? საფრანგეთმა დაჰხარჯა ფლოტზე უფრო მეტი, ვიდრე სამთა კავშირმაო, ხოლო ჩვენის ფლოტის ძალა ბევრად ჩამორჩება სამთა კავშირის ფლოტის ძალასაო, როგორც გემთა რაოდენობით, ისე მათის სიარულის სისწრაფითა და შეიარაღებითაო; ყველაფერში უწესოება ეტყობა ფლოტსაო. სამწუხაროა, რომ საფრანგეთის ნაპირებს მტერი ადვილად მოადგება; პორტები საკმაოდ დაცული არ არის; უმეტესი ნაწილი ნაღმიანის გემებისა ვერ ჰბედავს ზღვაში წასვლას, რადგან ჯაბახანა ცარიელი აქვს და ნუზლსურსათი ნაკლებად მოეპოვება. პარლამენტმა უნდა გამოიძიოს ეს საქმეო.

**ᲑᲔᲚᲒᲠᲐᲓᲘ.** ლიბერალმა მინისტრებმა მადლობა გადაუხადეს მეფეს ამნისტიისათვის. მეფემ სთქვა, რომ სრული იმედი მაქვს ლიბერალებისაო. რადიკალთა გაზეთებში დიდად ჰკიცხავენ მილანს და აშკარად ამბობენ, რომ უკანასკნელი ამბავი იმიტომ არის მომხდარი, რომ სერბიას ერთხელვე ნაანდერძევ პოლიტიკისათვის გზა აექცევინონო. რადგან მილანმა უარ-ჰყო უფლებანი სერბიის მოქალაქისა, აძიტომ სასამართლოს ვერ მოუხერხებია რედაქტორები პასუხის გებაში მისცეს.

20 იანვარი

**ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ.** ხელმწიფე იმპერატორს სიცხე 27,1 გრადუსი აქვს; მაჯა კარგად უცემს; ბრონხიტი თანდათან ჰქრება. ძილით უკეთ სძინავს და უკეთაც ჰგრძნობს თავსა. ბიულეტენები დღეში მხოლოდ ერთხელ გამოვა ამას იქით.

სახელმწიფო საბჭოს აქვს ამ ჟამად განსახილველად ის საგანი, რომ სამსახურიდამ გამოსულს სამხედრო კაცთ სამხედრო ჩინები ჰქონდეთ ისევ მითვისებული, უკეთუ აღსრულებენ ქალაქის მოურავთა, საერობო გამგეობათა და ქალაქის სტაროსტათა თანამდებობას.

**ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ.** Pall Mall Gazette იუწყება, რომ გლადსტონმა გადასწყვიტა სამსახურიდამ გამოვიდეს. გაზეთი ამბობს, რომ გლადსტონი შეატყობინებს ამ გარდაწყვეტილებას დედოფალს პარლამენტის სესიის დაწყებამდეო. ამბობენ, რომ ამ გარდაწყვეტილების მიზეზია მოხუცებულება გლადსტონისა და ის გარემოება, რომ მთავარ-მინისტრი გულნატკენია ირლანდიის ბილლის უარყოფითაო. ლორდ როზბერის შეეკითხნენ ამ ამბის გამო და მან სთქვა, რომ მე არაფერი ვიცი მაგ გადაწყვეტილების გამოვო.

პეტერბურგის ბირჟა, 18 იანვარი.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | 7,40 | 7,44 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები | 148 | 148$^1/_2$ | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული | — , | — ,, | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | — ,, | — ,, | 241 |
| —მეორისა | | — ,, | 225 |
| 4% მესამე სესხისა | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი | 189 | — ,, | — ,, |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: 6% | 100$^3/_4$ | — ,, | — ,, |
| 5% | 98$^1/_4$ | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6% | 100$^3/_4$ | — ,, | — ,, |
| 5% | 98$^1/_4$ | — ,, | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | 98$^1/_4$ | — ,, | — ,, |

„ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡ“ ᲤᲝᲡᲢᲐ

**Წ—ᲝᲡ. Მ—ᲚᲡ ᲚᲐᲕ. Ჩ—ᲫᲔᲡ.** გამოგზავნეთ ფოსტის ფულად 2 მან. და გაზეთი გამოგეგზავნებათ.

## ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ




ᲜᲘᲕᲝᲡᲘᲡ თმის საღებავი ვ. ვენესი. ქ. ვენაში.

უვნებელი წამალი სწრაფად შესაღებად თმისა და წვერისა შავად, ქერად და წაბლის-ფერად. ფლაკონი ღირს გაგზავნით 3 მანეთი.

უმთავრესი საწყობი რუსეთისათვის

В. АУРИХЪ,
С,-Петербургъ,
Колокольная 18.

(8—1)

ქ. ქუთაისში ახალი წიგნის მაღაზია ვ. ბეჟანიშვილისა. ალექსანდრეს ქუჩაზე, ქალაქის ბაღთან, ანდრონიკოვის სახლებში გავმართე ახალი წიგნის მაღაზია, სადაც ისყიდება ყოველ გვარი ქართული და რუსული

**წიგნები**

და აგრეთვე საკანცელარიო და სამოსწავლო ნივთები. (5—4)

## „ᲘᲕᲔᲠᲘᲐ“

ამ 1894 წელსაც გამოვა ყოველ-დღე, გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს. ფასი გაზეთისა:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვით . . . | 10 მ.—კ. | 6 თვით . . . | 6 მ.—კ. |
| 11 ,, . . . | 9 ,, 50,, | 5 ,, . . . | 5 ,, 50,, |
| 10 ,, . . . | 8 ,, 75,, | 4 ,, . . . | 4 ,, 75,, |
| 9 ,, . . . | 8 ,, —,, | 3 ,, . . . | 3 ,, 50,, |
| 8 ,, . . . | 7 ,, 25,, | 2 ,, . . . | 2 ,, 75,, |
| 7 ,, . . . | 6 ,, 50,, | 1 ,, . . . | 1 ,, 50,, |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію „ИВЕРІА“.

თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმემ, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—ორი აბაზი.

თუ თვის განმავლობაში დაიბარა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, მას მხოლოდ შემდეგის თვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცახადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

ᲤᲐᲡᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲑᲔᲭᲓᲐᲓ

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი—8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი—30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის გვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერები, წერილები და კორესპონდენციები რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქნება. ხელ-ნაწერს, რომელიც დაბეჭდილი არ იქნება, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონმა არ მოიკითხა, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვს.

არა-გვარს მიწერ-მოწერას დაუბეჭდელ ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირისპირ მოსალაპარაკებლად რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, ათ საათიდგან პირველ საათამდე და საღამოობით 6-დგან 7$^1/_2$ საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ნიკოლოზის ქუჩაზე, 21.

გამოვიდა და ისყიდება ყველგან

ვალ. გუნიას მიერ

შედგენილნი და გამოცემულნი

**ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲐᲚᲔᲜᲓᲐᲠᲘ 1894 Წ.**

წიგნი შეიცავს 576 გვერდს დიდის ფორმატისასას, დასურათებულია ქართველ მწერალთა და მოღვაწეთა ნახატებით და კავკასიონის რუკით.

ᲤᲐᲡᲘ 50 ᲙᲐᲞ.

**უბის წიგნი 1894 წლისათვის**

მშვენიერის ყდით, ყარანდაშით და რეზინით.

ᲤᲐᲡᲘ 40 ᲙᲐᲞ.

**საოჯახო კედლის კალენდარი 1894 წ.**

მშვენივრად დასურათებულს კარდონზე, ორ კრასკიდ დასტამბული, უქმეების და ამინდების აღნიშვნით.

ᲤᲐᲡᲘ 20 ᲙᲐᲞ.

**ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲙᲐᲚᲔᲜᲓᲐᲠᲘ 1894 ᲬᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ**

შეიცავს 64 გვერდს მცირე ზომისას, მრავალ საჭირო ცნობებით და ორის სურათით

ᲤᲐᲡᲘ 5 ᲙᲐᲞ.

ზემოდ ხსენებული წიგნები ისყიდება ქ. ტფილისში „წერა-კითხვის გამავრცელებელ ამხანაგობის“ და ხიდეკელის წიგნის მაღაზიებში. ქუთაისში ძმ. წერეთელთან, ძმ. ჭილაძესთან, ბეჟანეიშვილთან და ხეთერელთან; ბათუმში კალანდაძესთან, ხონში წერეთელთან, ფოთში ტუღუშთან, სენაკში და ოზურგეთში თავართქილაძესთან და სხვაგანაც.

უმთავრესი საწყობი გამომცემელთან, ტფილისი, ფრეილინის ქუჩა № 7.

**ᲡᲐᲡᲐᲞᲐᲠᲔᲚᲝ ᲔᲡᲡᲔᲜᲪᲘᲐ ᲙᲝᲚᲑᲔᲘᲠᲡᲐ**

(Essence de Salsepareille Colbert)

საუკეთესო წამალი სისხლის დასაწმენდად

იარლიკზე უნდა იყოს ამომჯდარ ასოებით წითლად დაბეჭდილი

რუსეთის ყველა საუკეთესო აფთიაქებში იყიდება, ხოლო პარიჟში Ph-cie Rogé, 9, rue du guatre Septembre.